

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

ტენდერი: ფიზიკური წვდომის აღრიცხვის სისტემის შესყიდვა

დანართი #1 - მოთხოვნები სისტემის მიმართ

ფუნქციონალური მოთხოვნები:

1. სისტემაში ფიზიკური წვდომის ლოკაციების მრავალდონიანი სტრუქტურა (რეგიონი, ბიზნეს ერთეული, სართული, განყოფილება, ოთახი, კარი, in/out ლოკაცია), დამატება/წაშლის ფუნქციით;
2. მომხმარებლების როლების და უფლებების სტრუქტურა, ლოკაციების და ბარათების ადმინისტრირების ჭრილში;
3. ბარათის რეგისტრაცია:
 - მომხმარებლის მონაცემები (ინტეგრაცია) - სახელი და გვარი, პირადი ნომერი, პოზიცია;
 - დაშვების ლოკაციების განსაზღვრა;
 - ბარათის გააქტიურების თარიღი;
 - ბარათის მოქმედების გასვლის თარიღი;
 - ბარათის მოქმედების ვადის შეზღუდვა;
 - ბარათის გამოყენების რაოდენობრივი შეზღუდვა (optional);
4. ბარათების ადმინისტრირება:
 - ბიზნეს ერთეულების მიხედვით (ინფორმაცია თუ რამდენი ბარათია ჯამში გაწერილი კონკრეტული ბიზნეს ერთეულისთვის, ლოკაციების და წამკითხველი მოწყობილობების ჭრილში;
 - მომხმარებლების ჯგუფები - წვდომის წერტილების წინასწარ განსაზღვრული სტანდარტული ერთობლიობა, რომლებზეც ამ ჯგუფში შემავალ თანამშრომლებს ექნებათ წვდომა;
 - ბარათების ტიპები (თანამშრომლები, ვიზიტორები და სხვა);
 - ბარათის გააქტიურება;
 - ბარათზე გაწერილი წვდომების რედაქტირება;
 - ბარათის დაბლოკვა / საერთო სისტემიდან გათიშვის შესაძლებლობა;
 - ბარათის გაუქმება;
5. რეპორტები, მონაცემების ამოღება:
 - შესვლა/გასვლა - თარიღი, დრო, ბარათის ID, მომხმარებლის დეტალები, ლოკაციის დეტალები, არაავტორიზებულ ლოკაციებზე შესვლის მცდელობა (optional);
 - სისტემის გაუმართაობის რეპორტი (სისტემის გათიშვა, კონკრეტულ ლოკაციებზე მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა და სხვა);
6. შეტყობინებების, მეილების გაგზავნის შესაძლებლობა (მაგ. Emergency სიტუაციების დროს, სისტემის გათიშვის ან გაუმართაობის შემთხვევაში და სხვა).

ტექნიკური მოთხოვნები:

1. ყველა ბიზნეს ერთეულისთვის სისტემის გამართვა ერთ სერვერზე;
2. გეოგრაფიულად დაშორებული დაშვების წერტილების ცენტრალიზებული მართვა;
3. ქსელური მოწყობილობები - ქსელური პროტოკოლების და ტექნოლოგიების მხარდაჭერა: TCP/IP;

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

ტენდერი: ფიზიკური წვდომის აღრიცხვის სისტემის შესყიდვა

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა (ყველა ან კონკრეტული კარის ერთდროული დისტანციური ჩაკეტვა/გაღება);
5. ISO სტანდარტებით სერტიფიცირებული;
6. სერტიფიკატები აკმაყოფილებს: FCC, CE, ROHS;
7. ინტეგრაცია / ჩაშენების შესაძლებლობა (SDK, EDK, SOAP) სხვადასხვა პროგრამულ პროდუქტებთან;
8. ინტეგრაცია სხვადასხვა ტიპის მონაცემთა ბაზებთან (SQL...);
9. ორმხრივი ინტეგრაციის შესაძლებლობა;
10. შემდეგი ტიპის ბარათების მხარდაჭერა: Mifare. EM, HID iClass და სხვა;
11. მუშაობის პრინციპი (იდენტიფიცირების შესაძლებლობა): ბარათი + სახის იდენტიფიცირება წინასწარ შექმნილი ბაზიდან, Realtime Snapshot იდენტიფიცირება;
12. SDK, EDK, SOAP დამატებითი პროგრამირების შესაძლებლობა;
13. 24/7 ტექნიკური მხარდაჭერის სერვისი;
14. საგარანტიო ვადა 2 წელი.

მოთხოვნები HR მიმართულებით:

1. ორმხრივი ინტეგრაციის შესაძლებლობა 1S-თან;
2. სისტემა უნდა უყურებდეს შემდეგ მონაცემებს:
 - საკადრო ოპერაციები (თანამშრომლის მიღება, გათავისუფლება, შეთავსება, შეთავსების მოხსნა, გაცდენიდან გამოძახება);
 - სამუშაო გრაფიკი (საათების რაოდენობის მიხედვით);
 - დროის უწყისი (ფაქტიურად ნამუშევარი საათები);
 - გაცდენის რეგისტრაცია (ბიულეტენი, შვებულება, და ა.შ.);
 - თანამშრომლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამუშაო ადგილი (ბიზნეს ერთეულის / კლინიკის მიხედვით), პოზიცია;
 - დროის სახეობები;
 - კალენდარი (უქმე დღეები, თვის სამუშაო დღეები - შესაბამისი სამუშაო გრაფიკის შესაბამისად და ა.შ.).